საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაზე

მივლისს „ტრუდის" სანიჩბოსნო ბაზაზე, რომელიც სერებრიანი ბორის თვალწარმტაც მწვანეშია ჩაფლული, 7 ფინალური რბოლა მოეწყო. ამ დღეს დანიშნული იყო აკადემიურ ნიჩბოსნობაში საზსპარტაკიადო ტურნირის დახურვა და „რვიანებმაც" სტარტი ზედ საზეიმო ცერემონიალის წინ აიღეს. ფინალი მეტად საინტერესო და დაძაბული გამოდგა. პირველობისთვის მებრძოლთა შორის ჩვენი რესპუბლიკის „რვიანიც" გამოდიოდა. ეკიპაჟმა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ გ. ნიკურაძე, ო. ქაფიანიძე, ნ. ფილიევი, ბ. ხურციძე, ა. გოგლიჩიძე, ა. კაპანაძე, ო. ბერაია, ს. ბარიშევი და ო. ბერიძე, მძიმე ბრძოლაში ბრინჯაოს მედალი მიიღო.

სურათზე: რვაალგილიანები გადამწყვეტი რბოლის წინ.

* * *

სპარტაკიადის დღეებში კ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის საცურაო სარბიელზე მსაჯებს სპორტსმენებზე ნაკლები ჯაფა როდი ადგათ. ეს განსაკუთრებით ითქმის ქრონომეტრისტებზე. ყოველ მათგანს „თავისი" მოცურავე ჰყავდა და გულმოდგინედ ადევნებდა მას თვალყურს სტარტიდან ფინიშამდე. ყველაზე რთული საქმეა ფინიშზე მონაწილის მიღება, მით უმეტეს, როცა ბრძოლა მძაფრია და სპორტსმენები ერთდროულად უახლოვდებიან მიზანს.

მსაჯთა კოლეგიამ წარმატებით გაართვა თავი ამ სიძნელეებს და ყველა გაცურვის შედეგი უდიდესი სიზუსტით აღნუსხა. სწორედ ამიტომ, ასპარეზობის პროცესში მსაჯთა მიმართ პატარა საყვედურიც არ თქმულა.

სურათზე: ქრონომეტრისტები მორიგი ფინიშის მოლოდინში.

მ. ზარგარიანის ფოტო.
(ჩვენი სპეც. კორ.).

მოსკოვი.



[illegible] სტრიქონები

საჩუქარი მეზღვაურებს

საქართველოს საზღვაო-სანაოსნო ნავსადგურისა და „ფლოტის" მეზღვაურმა სპორტსმენებმა ამას წინათ შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს: ნავსადგურის ტერიტორიაზე გაიხსნა კომპლექსური სპორტული ბაზა.

მენავსადგურეებსა და მეზღვაურებს ამიერიდან საშუალება ექნებათ იასპარეზონ კალათბურთში, ფრენბურთში, ხელბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ითამაშონ ჭადრაკი და შაში.

ეს ძვირფასი საჩუქარი საქართველოს საზღვაოსნო სანაოსნოში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საწინდარია.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

დღეს ნომერში

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

1971 წ.
№ 170 (4420)
25 აგვისტო, ოთხშაბათი.
ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ემზადებიან საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავად

მივხედოთ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდს!

ნ. ალექსანდრია და მ. ლაზარევიჩი დღეს თამაშობენ

ჩემპიონთა მეორე ნათხილამურევი

კიევი, 23 აგვისტო. ლენინგრადელი ინჟინერ-რადიოფიზიკოსი, 34 წლის ა. მიასნიკოვი პირველად გახდა სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი წყალსათხილამურო სპორტში. იგი მხოლოდ 6 წლის წინათ გაეცნო საწყლოსნო თხილამურებს, ნათხილამურევი კი დიდი ხანია იტაცებდა, მაგრამ წყალზე კი არა, თოვლზე. მიასნიკოვს ბედი არ წყალობდა: ტრავმა საშუალებას არ აძლევდა მთის ფერდობებზე ასე თუ ისე დიდი წარმატებისთვის მიეღწია. სამაგიეროდ, მან სრული ტრიუმფი ჰპოვა წყალზე. ლენინგრადელი უნივერსალური სპორტსმენია: თავის დროზე მან ოსტატის ნორმატივი შეასრულა სიმაღლეზე ხტომაში, აქვს ასეთივე ვერცხლის ნიშანი მთამსვლელობისთვის.

სამთო და საწყლოსნო თხილამურების სიყვარულს თანაბრად იყოფს მოსკოველი ინჟინერ-ქიმიკოსი, 33 წლის ტ. როჟკოვა. დნეპრის წყალზე მან ძალე მოიხვეჭა ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონის სახელი. როჟკოვას „ოქროს შენადნობი" ტრამპლინიდან ხტომასა და ფიგურულ სრიალში მოპოვებულმა ვერცხლის მედლებმა, აგრეთვე, სლალომში მოხვეჭილმა ბრინჯაომ შეადგინეს.

ტექნიკური შედეგები

მრავალჭიდი. ვაჟები: 1. ა. მიასნიკოვი (ლენინგრადი) — 2943 ქულა, 2. ვ. ფილინი — 2721, 3. ი. მალიუტინი (მოსკოვი) — 2691. **ქალები:** 1. ტ. როჟკოვა — 2598 ქულა, 2. ნ. ვორონცოვა (მოსკოვი) — 2578, 3. თ. გეუტი (სევასტოპოლი) — 2143.

ტრამპლინიდან ხტომა (წინასწარი შეჯიბრებებისა და ფინალის ჯამი). ვაჟები: 1. ა. ბულატოვი (მოსკოვი) — 762 ქულა (საუკეთესო ნახტომი — 37 მ), 2. გ. გუსევი (დუბნა) — 759, 3. ვ. ფილინი (მოსკოვი) — 756. **ქალები:** 1. გეუტი — 460 ქულა (საუკეთესო ნახტომი — 20,4 მ), 2. როჟკოვა — 450, 3. ი. ელინა (დუბნა)—442.

ფიგურული სრიალი. ვაჟები: 1. მიასნიკოვი — 3002 ქულა, 2. ა. რადუშინსკი (მოსკოვი) — 2843, 3. ე. ტიცევი (სოჭი) — 2575. **ქალები:** გეუტი — 2045 ქულა, 2. როჟკოვა — 1714, 3. ი. პოტესი (მინსკი) — 1101.

სლალომი. ვაჟები: 1. ტიცევი — 46 ქულა, 2. ი. ტიაპკინი (დუბნა) — 45, 3. მიასნიკოვი — 44. **ქალები:** 1. ვორონცოვა — 34 ქულა, 2. გ. ლიტვინოვა (დუბნა) — 30, 3. როჟკოვა — 30,

ახალი ამბები-71

- ბ. მოსოლოვი სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების წევრობის კანდიდატი გახდა
- პირველი ოქრო საბჭოთა მსროლელმა მოიგო
- 11 სახეობიდან — 8
- მასპინძელთა გამარჯვებით
- საკავშირო რეკორდი 4 კილომეტრით გაიზარდა

● **უპსალა, 22 აგვისტო.** აქ დამთავრდა იუნიორთა VI მსოფლიო ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში. ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია მოსკოველმა ბ. მოსოლოვმა, რომელმაც 5272 ქულა დააგროვა და ოქროს მედალი დაისაკუთრა. აი, ამ გამარჯვების შემადგენელი ნაწილები: ცხენოსნობა — 1050 ქულა (VIII ადგილი), ფარიკაობა — 1056 (I), სროლა — 1022 (I), ცურვა — 1084 (VI), მძლეოსნური კროსი — 1060 (VI). ვერცხლის მედალი მოიხვეჭა უნგრელმა პლანკმა (5104), ხოლო ბრინჯაოსი — ასევე უნგრელმა ვამშმა (5025). გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. უნგრეთი — 14981 ქულა, 2. სსრ კავშირი — 14525, 3. რუმინეთი — 13703. შეჯიბრებაში 12 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

● **ზული (გდრ), 23 აგვისტო.** ტყვიის მსროლელთა აქ მიმდინარე ევროპული ჩემპიონატის ოქროს პირველი მედალი მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა, დინამოელმა ბ. ერმაკოვმა მოიგო: ნებისმიერი პისტოლეტით სროლაში 565 ქულა დააგროვა. ვერცხლის მედალი მსოფლიო ჩემპიონ ჰ. ფოლმარს (გდრ) ხვდა — 562 ქულა. კონტინენტის წარსანდელმა ჩემპიონმა, ერმაკოვის თანაგუნდელმა გ. კოსიხმა 560 ქულა დააგროვა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

● **ოსტენდე, 23 აგვისტო.** ბელგიის ამ ქალაქში დამთავრდა ევროპის მოზარდთა ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. შეჯიბრებაში 23 სახელმწიფოს 200-ზე მეტი ჭაბუკი და გოგონა გამოდიოდა. შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებმაც პროგრამის 11 სახეობიდან 8 მოიგეს. ოქროს მედლებს დაეპატრონნენ უფროსი და უმცროსი ასაკის ჭაბუკთა ნაკრები გუნდები. ასეთივე ხარისხის ჯილდო მოიპოვა 14 წლამდე გოგონათა ნაკრებმა (უფროსი ასაკის გოგონები გუნდურ ტურნირში არ მონაწილეობდნენ). უფროსი ასაკის წარმომადგენელთა პირად შეჯიბრებებში გაიმარჯვეს: ერთეულთა თანრიგში — 16 წლის ა. სტროკატოვმა (ლვოვი); წყვილებში: ერევნელმა ე. ანტონიანმა და ნალჩიკელმა ფ. ბატიროვამ, ოდესელებმა ა. საპრიკინმა და რ. ერენტიუკმა; შერეულ წყვილებში — საპრიკინმა და ანტონიანმა. 14 წლის ერევნელმა გ. ბურნაზიანმა ყველას აჯობა უმცროსი ასაკის ჭაბუკთა ტურნირში. პროგრამის დანარჩენ სახეობებში საუკეთესონი იყვნენ ჩეხოსლოვაკიელები, მათ შორის, უფროსი ასაკის გოგონებში — „დიდების" მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, 17 წლის ი. ვოშტოვა.

● **კიშინიოვი, 23 აგვისტო.** ახალგაზრდა ძიუდოისტთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი „მეგობრობა", რომელშიც სსრ კავშირის, ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, კუბის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის ჭაბუკები მონაწილეობდნენ, მასპინძელთა გამარჯვებით აღინიშნა: ჭაბუკებისა და იუნიორების ჯგუფებში მოასპარეზე საბჭოთა ათლეტებმა 19 მედალი მოიპოვეს: 8 ოქრო, 6 ვერცხლი, 5 ბრინჯაო.

● **ლიეპაია, 23 აგვისტო.** აქ ხუთ დღეს გრძელდებოდა სსრ კავშირის პირველობა წყალსამოტორო სპორტში. გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ლენინგრადი, 2. რსფსრ, 3. უკრაინა. საკავშირო რეკორდსმენის წოდება დაამტკიცა ლენინგრადელმა ე. ისაკოვმა, რომელმაც კატარღით „ს-2" დისტანცია საათში 81,1 კმ სიჩქარით დაფარა — 4 კილომეტრით გააუმჯობესა თავისივე უწინდელი მიღწევა. სენსაციური იყო ახალგაზრდა მოსკოველი მრბოლელის ა. ჩერმოშენცევის გამარჯვება, რომელმაც სკუტერზე „ოს" ჩამოიტოვა ამ კლასში არაერთგზის ჩემპიონები, ძმები ბოგდანოვები.

ახალი ამბები-71

ფიზკულტურის კოლექტივებში

„საქართველოს" სპორტსმენები

სოფელ კოჩარის კოლმეურნეობა „საქართველო" ერთ-ერთი დიდი და ღონიერი სასოფლო-სამეურნეო არტელია ოჩამჩირის რაიონში. აქაური კოლმეურნეები ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო გეგმას. კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე ა. გოგუა) ძალიან ეხმარება ახალგაზრდობას სპორტული მოედნების მოწყობაში, ინვენტარის შეძენაში და შეჯიბრებების ჩატარებაში.

წლეულს ახალგაზრდობის ძალებით ფეხბურთის მინდორი შეკეთდა. კოჩარული ფეხბურთელები აფხაზეთის ჩემპიონატში მონაწილეობენ და პირველი წრის შემდეგ II ადგილზე არიან.

კარგი საჩუქარი მიიღეს მოჭიდავეებმა: კოლმეურნეობის გამგეობამ მათ 1500 მანეთის ღირებულების საჭიდაო ლეიბი უყიდა. რაიონის მთავარ ბირთვს სწორედ კოჩარელი მოჭიდავეები (მწვრთნელი ქ. გელაშვილი) შეადგენენ. სპორტის ოსტატობის კანდიდატი ჯ. ხარაიშვილი აფხაზეთის ნაკრებ გუნდშია შეყვანილი.

„საქართველოში" ბევრი თანრიგოსანია. მაგალითად, მთავარ ზოოტექნიკოს გ. ჩაბრავას პირველი თანრიგი აქვს ჭადრაკში. მან „კოლმეურნის" საოლქო საბჭოს ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა.

კარგი შედეგები აქვთ სპორტსმენებს ბ. ვიკუას, გ. მირცხულავას, ნ. შენგელიას და სხვ.

სპორტული ღონისძიებების ჩატარებაში აქტიურად მონაწილეობენ კოჩარის რუსთაველის სახელობის საშუალო სკოლის მოსწავლეებიც. ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს (თავმჯდომარე ი. ვიკუა) ინიციატივით ხშირად ეწყობა შეჯიბრებები და ამხანაგური შეხვედრები მეზობელი კოლმეურნეობების სპორტსმენებთან.

რ. ჟვანია.
(ჩვენი კორ.).

სოფ. კოჩარი,
ოჩამჩირის რაიონი.

• • არამარტო ხარაჩოებზე...

ვაშენოთ სწრაფად, იაფად და ხარისხიანად! — ასეთი დევიზით შრომობს წალენჯიხის საკოლმეურნეობათშორისო მშენებლობის საბჭო და წარმატებებსაც აღწევს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში. წალენჯიხელ მშენებელთა მიღწევებზე ფაქტები მეტყველებენ: წლეულს მათ მიერ საექსპლოატაციოდ გადაცემული რვა ნაგებობიდან ხუთმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

და აი, ამ მოწინავე, ახალგაზრდული კოლექტივის წევრებს სპორტში დასაქმებულსაც ნახავთ.

საბჭოს მესაწყობე ვ. კვარაცხელია ბავშვობისას ფეხბურთს თამაშობდა — ქუჩების გუნდების პირველობებში ღებულობდა მონაწილეობას. შემდეგ ცხვირსნობამ გაიტაცა და არაერთხელ დაუცავს რესპუბლიკურ შეჯიბრებებში რაიონის ღირსება. სპორტისადმი სიყვარული მას არც შემდგომში განელებია და აი, მშენებლობის საბჭოში სპორტული სექციების ჩამოყალიბება განიზრახა.

სასარგებლო წინადადებას მოწონებით შეხვდნენ საბჭოს თავმჯდომარე ო. ღვინჯილია, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების მდივნები გ. მელაძე, ლ. კვარაცხელია, ქ. ზარქუა.

ენთუზიასტს მხარში ამოუდგნენ ახალგაზრდა მუშები და შრომაც გაჩაღდა. მოეწყო ფრენბურთისა და ფეხბურთის მოედნები. საბჭოს ახალ შენობაში დიდი და ნათელი ოთახი დაუთმეს ჭადრაკსა და შაშს.

საკოლმეურნეობათშორისო მშენებლობის საბჭოში ჯერ არა ჰყავთ თანრიგოსნები, მაგრამ მშენებლებს უყვართ ფიზკულტურა და, იმედია, მალე თვალსაჩინოდ აიმაღლებენ სპორტულ ოსტატობას. მათ კარგად იციან, რომ საქმისადმი გულითადი დამოკიდებულება გამარჯვების საწინდარია. და, რა თქმა უნდა, იციან რა სიკეთეც მოაქვს სპორტს ადამიანის ჯანმრთელობისა და სიმხნევისთვის. ამიტომაცაა, რომ თავისუფალ დროს ხალისით მიაშურებენ ხოლმე მოედნებს.

აქ ხშირად ატარებენ შეჯიბრებებს საამქროებსა და უბნებს შორის. საინტერესოდ წარიმართა მშენებლისა და ფიზკულტურელის საკავშირო დღეებისადმი მიძღვნილი შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა, რომელშიც ბლოკსაწრელი საამქროს მუშებმა გაიმარჯვეს.

— ეს საქმის დასაწყისია, — ამბობენ ენთუზიასტები. — ჩვენი მიზანია კიდევ უფრო გავაფართოოთ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა, მასში ჩავაბათ ყველა მუშა, დავნერგოთ საწარმოო ტანვარჯიში.

მშენებელი სპორტის მოყვარულნი ახლა გულმოდგინედ ემზადებიან საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებებში მონაწილეობისთვის.

თ. სალია.
(ჩვენი კორ.).

წალენჯიხა.

სარედაქციო ფოსტიდან

დაეხმარეთ გვთხოვენ

„ეს ჩვენ არ გვეხება"(!)

ფიზკულტურა და სპორტი რომ ადამიანის ერთგული მოკავშირეა ჯანმრთელობის გაკაჟებაში, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. და მაინც, ჩვენში კიდევ არიან ისეთი ადამიანები, რომელთათვის ეს საყოველთაო ჭეშმარიტება სიახლე გახლავთ. სწორედ ასეთ, ნუ მოვერიდებით ამ სიტყვებს, უგულო ადამიანებს ეხება ეს წერილიც, რომელიც რედაქციამ მიიღო თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის დასახლების მეორე მიკრორაიონის III კვარტალში მცხოვრები ახალგაზრდებისგან. აი, რას გვწერენ ისინი:

„ჩვენ გვიყვარს ფიზკულტურა და სპორტი, მაგრამ არ გაგვაჩნია სპორტული მოედნები. ამის თაობაზე რამდენიმეჯერ მივმართეთ სახლმმართველობას, მაგრამ მისგან ყოველთვის ერთი პასუხია: ეს ჩვენ არ გვეხებაო. ერთი სიტყვით, სპორტული მოედნების მოწყობაში არავინ გვეხმარება და ახლა ისღა დაგვრჩენია, მოგმართოთ თქვენ. გთხოვთ გაგვაგებინოთ, ვინ არის ვალდებული დააკმაყოფილოს ჩვენი კანონიერი მოთხოვნა?".

წერილს ხელს აწერენ: ვ. ბოკერია, ე. გამრეკელი, ჯ. გიორგაძე, თ. ჩიქოვანი, ა. ჯიოევი, ა. ბეკაური, ზ. მალანია, ტ. ლაზირიშვილი, ი. სლოევი და სხვ.

„ყველაზე მაღალი კაცი"

ჭყინტულდი სოფლის თავში ცხოვრობს, მაღალი ღმერთის სახელობის — ფუსდის ეკლესიასთან ახლოს. თავისი გალავნიანი სახლის ზღუდეზე რომ გადმოდგება, შორიდან მურყვამივით მოჩანს ახმახი მოხუცის სილუეტი. „ყველაზე მაღალი კაცი", — ასე ეძახდნენ ჯეელობაში ჭყინტულდს მესტიელები. ასე ეძახდნენ არა იმიტომ, რომ სოფლის თავში ბინადრობდა, იმიტომ, რომ სული ჰქონდა მაღალი, კაცური, წმინდა. „ყველაზე ღონიერ და მხარბეჭიან მარესაც" ეძახდნენ მაშინ ჭყინტულდს. ჟამთა სრბოლას შემორჩენილი თავისი ტოლები ახლაც ასე ეძახიან — ბუგი მარე... ახლებმა კი, ახალი ცხოვრებისა და ყოფის მიმდევრებმა, რა იციან ძველი დროებისა! შესაძლოა, კიდევაც იციან, მაგრამ თვითონ რომ არ ყოფილან იმ დღეთა მომსწრე-მონაწილენი? აბა, გადმოცემით გაგებულს რა ფასი აქვს. საკუთრივ ნანახის ცხოველმყოფელობას რა შეედრება? მეხსიერებისთვის ხომ შთამბეჭდავი, ძლიერი განცდებია საჭირო. მაინც რა დრო გავიდა მას მერე, კაცო, ა?..

ჭყინტულდს კი ყველაფერი ახსოვს. თავისი ცხოვრების მანძილზე ბარე რატომ ათასზე მეტ კაცს მაინც არ დასჭიდებია და თითქმის ყველა მათგანის სახელი ახსოვს. გარეგნობასაც აგიწერთ, თუ კი შეეკითხებით. ერთი სიტყვით, ჭყინტულდის არსებაში კვლავ ის ჯეელი, მუხლმაგარი, მკლავგრძელი და, რაც მთავარია, გონებიანი ადამიანი სახლობს. მხოლოდ ეს არის, თვალებში სისველე გასჯდომია, მხრებს შორის სოლივით ჩადგმულ გრძელ კისერზე კი ნაოჭები დასჯდია რკალებად. ნაოჭები შრეებად ალაგია, ერთი მეორის მიყოლებით, თითქოს გარდასულ წელთა ნაკვალევიაო. თვალები კი დროჟამის ბრუნვას თითქოს დაუცავთია, გაუცრეც-გაუუფერულებიაო.

რამდენი რამის მომსწრე და მნახველნი არიან ეს თვალები! რა მოძრავნი, ცქაფნი იყვნენ თავის დროზე, რა სანდონი და ერთგულნი. ელვაზე უსწრაფესად დახტოდნენ საგნიდან საგანზე, ადგილიდან ადგილზე. საძიძგილაოდ შემზადებულ მეტოქეს დასტრებოდნენ ყოვლის მხილველნი, ცნობისმოყვარეობის წადილით შეპყრობილნი, იმის ყოველ მიხვრა-მოხვრას, უმნიშვნელო მოძრაობასაც კი იჭერდნენ, ატყობინებდნენ პატრონს. „თვალი თუ გიჭრის, ჩინებული მონადირე ყოფილხარ და კიდევ უკეთესი მოჭიდავეო" — ჭეშმარიტად ბრძნული ნათქვამია. ბრძნული და ღრმააზროვანი. და თუ კი თავი უსახელებია ოდესმე ჭყინტულდს, უპირველესად ამ თვალებს უმადლის, ამ ბებერ თვალებს...

თუ კი უსახელებია სადმე თავი? ხერგიანთა მოდგმის აწ გარდაცვლილ უხუცესთათვის ნიკალოზისა და ბუჯაალისთვის ანდა მამურზა ნიგურიანისა და ტარასი ჯაფარიძისთვის რომ გეკითხათ, ისინი იტყოდნენ: ჭყინტულდმა იმდენჯერ ასახელა თემი, რამდენჯერაც კი გავიდა საჭიდაო სარბიელზეო.

ასე გეტყოდნენ ისინი. და აბა, მათს ნათქვამში ვინღა შეიტანდა ეჭვს, ვინ გაიხდიდა თავს სასაცილოდ?

თვითონ ჭყინტულდი კი, როგორც ეს ჩვენს დარბაისელ წინაპრებს სჩვეოდათ, ერთობ სიტყვაძუნწია საკუთარი თავის შესახებ. მით უმეტეს, თუ შეატყო, რომ იმისი ნაამბობი წიგნისთვის გჭირდება. ხოლო თუ კი ეტყვი, უბრალოდ მაინტერესებს იმჟამინდელი თქვენი ასავალ-დასავალიო, იცოცხლე, როგორ გაუბრწყინდება თვალები ჭარმაგ მოხუცს, ხერგიანთა მოდგმის უმაღლეს მამაკაცს. ანდა რა გასამტყუნებელია: საკუთარი ბავშვობის გახსენება ვის არ აღუძრავს მსგავს სასიამოვნო ფიქრსა და ვანცდებს? მით უფრო, რომ იგი ხომ ჯეელობის წლებს ბარე სამოცდაათი-სამოცდათხუთმეტი წლით მაინც დაშორებია. სამოცდათხუთმეტ წელს მიღმა გადაბარგებაზე, თავისი ყმაწვილკაცობის დღეების გახსენებაზე კი რომელი ერთი მოხუცი იტყვის უარს? პირიქით, ასეთ შესაძლებლობაზე ალბათ ყველა ჭაღაროსანი ოცნებობს. თვითონ ჭყინტულდმა კი გულახდილად მითხრა:

— გარდასულ დღეებზე მთელი საათობით შემიძლია ვისაუბრო, იმაზე დიდი სიამოვნება ჩემთვის აბა, რა უნდა იყოს, მით უფრო, თუ კი მოფიქვნეს დააინტერესებს ჩემი მონაყოლი და ძალისძალად ან ხათრის გულისთვის არ დამიკანტურებს თავს.

ჩემს გულწრფელობაში კი მალე დარწმუნდა ჭყინტულდი. დარწმუნდა და იცოცხლე, რომ გაიხარა! და არა მარტო თვალები აენთო მოხუცს, მთელი მისი სხეული რაღაც საზეიმო განწყობილებამ მოიცვა, ყოველი ნაკვთი, ყოველი ნერვი მოუსვენრობამ შეიპყრო. მოხუცი ტოკავდა, ხტოდა, ხელებს შლიდა, თვალებს კუსავდა, ერთი სიტყვით, მოედანზე გამოსული მოჭიდავე გეგონებოდათ — საძიძგილაოდ შემართული, მეტოქეზე აბობოქრებული, თემისა და სოფლის სახელისთვის მებრძოლი, ლომის ხვრის ღირსების დამცველი....

— ჩვენს დროს ვინაც კარგი ჭიდაობა იცოდა, ვაჟკაციც ის იყო. ჭიდაობა კი ისე მოსდევდა მთელს საქართველოს და არა მარტო საქართველოს, ჩრდილოეთ კავკასიასაც, კაცი სალამს რო გეტყოდა, მზად უნდა ყოფილიყავი იმასთან გასაჯიბრებლად. უცნობი იქნებოდა იგი, თუ ნაცნობი, ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა — გამოგიწვევდა და მორჩა: შენი თავმოყვარეობა, სახელი და ღირსება სასწორზე იყო შეგდებული, თუ გული დაგიფრთხებოდა და შიში დაგესეოდა, ხომ უარს ეტყოდი, აბა რას იზამდი, მაგრამ მერე ხალხში თავის გამოჩენა არ გინდოდა? და რაც უცნაურია, ვაჟკაცის ლაჩრობის ამბავს როგორღაც პირველად ქალები გაიგებდნენ ხოლმე. ეს იყო ყველაზე ცუდი — იმ დღიდან რაც უნდა ხორცსავსე და ცასშიბჯენილი ყოფილიყავი, შენს პიროვნებას მაინც ძნელად მოსაცილებელი ჩრდილი ადგა, ლაქა ეცხო, ლაქა სიბეჩავისა და ქალაჩუნობისა.

ხოლო თუ ვინმესთან უსიამოვნებას გადაეყრებოდი, წაკამათდებოდი და იჩხუბებდი, მუდამ გაგახსენებდნენ და მოგაყვედრიდნენ იმ საბედისწერო დღეს, მეტოქემ რომ დაგიჩოლბოტა. გინდ უარი გეთქვა გამოწვევაზე და გინდა კაცობა დაგეკარგა, თითქმის ერთიდაიგივე იყო. კაცებს რო ეპატიებინათ, ქალების ამბავი თუ იცის ვინმემ, ისინი მაინც რას შეგარჩენდნენ, ცვედანივით დაგიწყებდნენ ყურებას. სიმართლე რომ ვთქვა, ბევრ კარგ ვაჟკაცს შეურთავს ლამაზი ქალი ჭიდაობაში მოპოვებული სახელით. იყვნენ ისეთები, მდაბიური, ღარიბი წარმოშობის ფალავნები, მთიბავები და ქვისმკვრელები, არაფერი რო არ ეტიალათ სახელის გარდა და შეძლებული გვარისა და თემის ქალი კი მოუყვანიათ ცოლად.

— თქვენ როდისღა იჭიდავეთ პირველად, ან ვინ იყო თქვენი მასწავლებელი? — ვკითხე საუბრის ინტერესის გასაღვივებლად ჭყინტულდს. — ხომ ვერ გაიხსენებთ იმ დღეს?

ჭყინტულდმა თვალები მოწკურა და წამით ჩაფიქრდა:

— თვალნათლივ მახსოვს ის დღე, პირველი დიდი გამოცდა რომ ჩავაბარე ჭიდაობაში. ცამეტი წლისა ლელლამის სათიბებში თხებს ვმწყემსავდი. თხებმა შორს გამიყოლიეს და ის იყო უკან მობრუნებას ვაპირებდი, აქეთ-იქიდან ორი მაშინდროინდელი ცნობილი ყაჩაღი გადამიდგა. თითო ხელში თითო ხანჯალი ჩაებღუჯათ, წრედ მერტყმოდნენ. წრეც თანდათან ვიწროვდებოდა. გაუპარსავნი იყვნენ, კბილებდაკრეჭილნი დამდმუოდნენ, მრისხანედ მომშტერებოდნენ. აღარ ვიცოდი, როგორ დავსხლტომოდი ხელიდან: და მანამდე რო არ მეჭიდავა, არაფერი გამომივიდოდა.

ჩემდა გასაკვირვებლად ყაჩაღებს მივაძახე: თუ ვაჟკაცები ხართ, თითოზე გამოდით და დამეჭიდეთ-მეთქი. ჩემმა სიტყვებმა იმათს თავმოყვარეობაზე იმოქმედა, ორივენი ელდანაკრავებივით შედგნენ. მერე ერთმანეთს გადახედეს, ხანჯლები ქარქაშებში ჩააგეს და ერთმა მათგანმა მყისვე შემიტია. შიშის გრძნობამ მოიცვა მთელი ჩემი არსება, მაგრამ როცა ხელი ჩავავლეთ და ერთმანეთი მოვსინჯეთ, მომეჩვენა, რომ იგი შედარებით მსუბუქად დამყვებოდა. ერთი სიტყვით, ხელებში მემჩატა და დაბნეულობაც მაშინათვე გაქრა. მერე ის იყო, მხარზე მოვიგდე, მარცხენა ხელით მარჯვენა ნიდაყვი ჩავუჭირე, მიწას მოვწყვიტე და ლამის თავზე გადავიტარე. მაშინღა გამოვერკვიე... ბეჭებზე სარივით დარჭობილი უშწეოდ რომ ასხმარტალებდა ჰაერში ფეხებს.

მაგრამ ჯერ ყველაფერი როდი იყო დამთავრებული: უმალვე წამოხტა და კიდევ მეტაკა, ვერ მოინელებინა შეურაცხყოფა და ღრიალ-ღმუილით მომვარდა, ეტყობა ჩემს დაშინებას ფიქრობდა. სხვა ხერხი მაშინ არც არაფერი ვიცოდი, მოგვერდიც არავის ესწავლებინა ჩემთვის, ისე გამომივიდა, რაღაცნაირად თავისით. ჰოდა, რახან გამომივიდა, კვლავ ვცადე მისი გამეორება. ახლა უფრო მძიმედ დაასკდა მიწას. ზედ თავით დაასკდა და ერთი ისეთი ზღართანი გაადინა, არც წამოწეულა ზეზე. გუნებაში გამეცინა, მაგრამ იმის ამხანაგს რო მოვკარი თვალი, ხასიათი წამიხდა — ვინ უწყოდა, რა დღეს დამაყრიდა დათვივით ჩამრგვალებული, დაკუნთული ყაჩაღი ჯერით ღინღლიანსა და უწვერულვაშო ღლაპს? იმანაც არ დააყოვნა იეროშზე წამოსვლა, რახან თავისი ამხანაგი არ იძვროდა და გაბრძოლების თავი არა ჰქონდა. ჯიქურ მეტაკა და ერთი გვერდზე ჩამშუნა, ჩამანჯღრია. მაგრამ მეც არ დავახანე. დროზე უნდა მომესწრო მოსასწრები, ვიდრე მთლად დავიცლებოდი ძალ-ღონისგან. საძიძგილაო რა მქონდა, ან უნდა მემარჯვა, ანდა დროზე დავმარცხებულიყავი. მოსახდენი კი მალე მოხდა: უარესი დღე იმას დაადგა. კვლავ მოგვერდზე გადავიყვანე, ზუსტად წეღანდელი ილეთი გავუმეორე და, როგორც მაშინ იტყოდნენ ხოლმე, წვენგამჯდარი პანტასავით დაასკდა მიწას. პირველისგან განსხვავებით, ამან გვიან-გვიან წამოითრია სხეული და ჩემსკენ გამოემართა, მაგრამ, ეტყობა, ძარღვი თუ გაენასკვა, უცბად კისერზე მოივლო ხელი, ერთი კი გადმომიტრიალა თვალები და ჩაიკეცა. მე იმათს ხანჯლებთან მივედი, თოფებიც იქვე ელაგათ. ჯერ თოფები დავუმტვრიე, ერთი ბათქა-ბუთქი დავუყენე, სულ დავატყვრინე, რაც სასროლი ჰქონდათ. იმდენს ვისროდი, რომ მწყემსთა ბინებიდან ხალხიც კი მოგროვდა. მერე ხანჯლების დამტვრევა გადავწყვიტე, მაგრამ ვეღარ გავიმეტე: ორთავე ხანჯალი განთქმული ოსტატის [illegible] ნახელავი აღმოჩნდა, სულ ოქრო-ვერცხლით დაშვენილ-დაჭედილი ქარქაშები ჰქონდათ. ჰო და სხვა ვეღარაფერი მოვუხერხე, გარდა იმისა, რომ არყნარით დაბურულ ხევში გადავუძახე სათითაოდ. ხალხი გაოცებული მომჩერებოდა. უფრო გასაკვირველი კიდევ ამ ტყე-ღრეში ნათრევ ყაჩაღებს დაჰყურებდა, სათიბზე რომ ეყარნენ და თავისთვის ოხრავდნენ. ვერაფერი გაეგოთ, რა ხდებოდა.

საქმე რო მოვათავე და შინისკენ გავილალე საქონელი, ცოტა კი დამეთანაღრა გული გაკვეთებულზე. უფრო სწორად, შემეშინდა: ის ყაჩაღები ქვეყანას შიშის ზარსა სცემდნენ და პირტიტველა ყმაწვილის ხელში მოგდება და სამაგიეროს გადახდა გაუჭირდებოდათ? ეს გრძნობა დიდხანს მომყვებოდა გზაში, მაგრამ მალე საწინააღმდეგო ფიქრმა გამიელვა თავში — რაღაზე პირტიტველა ყმაწვილისა? განა მე არ დავამარცხე ის ყაჩაღები? ულვაშები გინდ გქონია და გინდ არა, მთავარია ჯაბნიდე სხვას და...

ჰოდა რაღა მაწუხებდა? თუ მეცემიან — დავუხვდები, რომ დავუხვდი, იმაზე უკეთესად დავუხვდები, — ჩავუქნიე ხელი ჩემს სადარდებელს და უსიამო ფიქრები რომ გამელალა თავიდან, სიმღერაც კი წამოვიწყე...

მთავარი მაინც ის იყო, რომ თურმე ჭიდაობა გამომდიოდა. გამომდიოდა და არც თუ ურიგოდ...

მირონ ხერგიანი.

მესტია.

(დასასრული იქნება)

• • •

სურათზე: ჭ. ხერგიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ლიგა

დიდი ანგარიშით

ტაშკენტი. „ფახთაქორის“ სტადიონი. 23 აგვისტო.

„ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „დინამო“ (თბილისი) 5:1 (1:0).

„ფახთაქორი“: გოვოროვი, მასლოვი, შტერნი, ტურგუნოვი, პეტუხოვი, კუზმინი (ვართაპეტოვი), ვარიუხინი, ისაკოვი, აბდურაიმოვი, სოლოხო (ენი), ცაბინი.

„დინამო“: სტეფანია, ძოძუაშვილი, ჰელიძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი (ყიფიანი), პეტრიაშვილი, გავაშელი, მაჩაიძე, კუტივაძე, მეტრეველი, რეხვიაშვილი.

მსაჯი ი. სერგიენკო (ხარკოვი).

დუბლიორები — 1:0 „ფახთაქორის“ სასარგებლოდ.

აი, რა შეგვატყობინა საქლესმა

„ფახთაქორი“ ამ საღამოს შესანიშნავად თამაშობდა: ბურთით სპრინტერული გასვლები, მოულოდნელი დარტყმები სხვადასხვა მანძილიდან...

3 დინამოელი მცველი ცდილობდა მარცხენა ფრთაზე ცაბინის გარღვევის შეფერხებას, მაგრამ მან მოასწრო ბურთის ცენტრში გადაცემა და აბდურაიმოვმა შეუჩერებლად დაარტყა კარში. ასე გაიხსნა 30-ე წუთზე ანგარიში. ძნელია დაადანაშაულო თბილისელთა მეკარე სტეფანია დანარჩენ გოლებშიც, რომლებიც გაიტანეს იმავე აბდურაიმოვმა, აგრეთვე, სოლოხომ და ცაბინმა. სამაგიეროდ, ტაშკენტელთა მეკარე გოვოროვმა მრავალმხრივ შეუწყო ხელი თავისი გუნდის წარმატებას. სჭეროდათ რა მისი, მასპინძლები გამუდმებით მიიწევდნენ წინ.

როცა ხურცილავამ ფინალურ სასტვენამდე 1 წუთით ადრე გაიტანა „პრესტიჟის გოლი“, ტაშკენტელებმა მაინც შეძლეს გაეკეთებინათ ისე, რომ ბოლო სიტყვა მათ დარჩათ: სტუმრების კარისკენ მარტოდმარტო გაიჭრა ისაკოვი და გაიტანა კიდეც დასკვნითი გოლი.

რედაქციისგან

მაშ ასე, თბილისის „დინამოს“ ახლანდელმა შემადგენლობამ კიდევ ერთი სამარცხვინო ფურცელი ჩაწერა ჩვენი გუნდის ისტორიაში — საოცრად უსუსურად ითამაშა 23 აგვისტოს ტაშკენტში და პირდაპირ სამარცხვინოდ წააგო მატჩი ჩემპიონატის აუტსაიდერთან „ფახთაქორთან“ — 1:5.

ჩვენ ხშირად ვხმარობთ გამოთქმას — კომენტარი ზედმეტიაო. ეს მაშინ, როცა ამბავი დამატებით ახსნა-განმარტებებს არ საჭიროებს და ყველაფერი ისედაც ნათელი გახლავთ. მაგრამ ახლა ისეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე, რომელიც არა მარტო კომენტარს მოითხოვს, არამედ აქტიურად ჩარევას, ზემოქმედებას მათს მიმართ, ვინც არად აგდებს იმ ტიტანურ შრომას, რომელმაც ქართული ფეხბურთი უმაღლეს მწვერვალებამდე მიიყვანა.

დიახ, ვიმეორებთ: რადიკალური ზომები უნდა იქნას მიღებული ჰათს მიმართ, ვინც უღირსია ატარობ თბილისის „დინამოს“ მოთამაშის მაისური და საქართველოს საუკეთესო გუნდის წევრის სახელი. არაფრით არ შეგვიძლია წუთითაც დავუშვათ ის აბსურდული აზრი, თითქოს თბილისის „დინამო“ თავისი კლასით იმდენად დაქვეითდა, კოლექტივი იმდენად დაძაბუნდა, რომ დამარცხებები 0:4, 0:6, 1:5 და სხვა, მისთვის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. უდავოა, რომ საქმე გვაქვს ცალკეულ მოთამაშეთა უპასუხისმგებლობასთან, საკუთარი კოლექტივის მიმართ პატრიოტიზმის აბსოლუტურ დაკარგვასთან, უნებისყოფობასთან, უუნარობასთან.

აბა, სხვას რას უნდა მივაწეროთ, რომ „ფახთაქორმა“ — მომდევნო ლიგაში გადასვლის უპირველესმა კანდიდატმა, წლევანდელ ჩემპიონატში სულ 3 მატჩი მოიგო და აქედან 2 — თბილისის „დინამოსთან“?!

სეზონის დასაწყისში განცდილი წარუმატებლობანი ჩვენ შემთხვევითობად და წესის გამონაკლისად მიგვაჩნდა, სინამდვილეში კი გუნდი დაავადებულ და ჭიანი გუყოლია. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ თუ რომელიმე გუნდს სურს თავისი გაფუჭებული საქმე გამოისწოროს და ბალანსი გაიუმჯობესოს, თბილისის „დინამოსთან“ შეხვედრას უცდის. ჩვენი გუნდი ქულების საბადოდ იქცა!

ამას წინათ „ლელოში“ გამოვაქვეყნეთ ფეხბურთის მოყვარულთა წერილების მიმოხილვა. ხალხი (აქ, ბევრი ისეთიცაა, რომელიც ფეხბურთის მატჩებზე არ დადის, მაგრამ თბილისის „დინამოს“ ბედ-იღბალს მტკივნეულად განიცდის) მოითხოვს ახსნა-განმარტებას გუნდის ხელმძღვანელობისგან, მოითხოვს შეხვედრას კოლექტივთან, რათა უშუალო, პირდაპირ საუბარში უთხრას მას თავისი გულისტკივილი.

რედაქციაში კვლავ მრავლად შემოდის წერილები. ჩვენ აქ მოვიყვანთ მათი ავტორების თუნდაც ნაწილს: თ. ჩახუნაშვილი (საბჭოთა არმიის ჯარისკაცი), ტ. ალფენიძე (სოხუმი), ჯ. კალანდია, რ. კვაშილავა, გ. სიჭინავა, ე. მაჩიტიძე, კ. ჭყოიძე, ვ. ნივაია, ნ. ჭაავა (რუსთავის ქიმიური კომბინატის მუშები), ი. პიტიურიშვილი, კ. კვეზერელი, ნ. პიტიურიშვილი, ვ. მახარაშვილი, რ. ლომიძე, შ. ბოლოტაშვილი (გურჯაანი, სოფ. ქოდალო), ო. მურღულია (გალი, დ. საბერიო), გ. ბუნტური, თ. ბურდული (თიანეთი, ტოლაანთსოფელი), ჯ. გიორგობიანი (თბილისი), ჯ. ზარანდია (ბათუმი), ბ. მახათაძე (რუსთავი), ზ. ტურიაშვილი, ვ. ქუმარიტოვი, ჩიბჩიური (თბილისი), ვ. კოპალიანი (პერმის ოლქი, დ. ნირობი), ა. გურგენიძე, გ. ხანიაშვილი (თბილისი, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო), ბ. სურგულაძე, ი. ძიძიბაძე, გ. წივწივაძე (რუსთავი, მეტალურგიული ქარხანა), ო. ჯინჭარაძე (ქობულეთი), ხვედელიძე (რუსთავი), გ. ბურდული (თბილისი), ვ. როხვაძე (ვანი), თ. თავაძე (სოხუმი), დევდარიანი, იაკობიძე (გალი, სოფ. ოქუმი), ჭეიშვილი, ვ. კამკამიძე, ზ. ჭიჭაბერიძე, შ. მუკიაშვილი (თბილისი), ვ. ცაბაძე (გორი), უჩანეიშვილი, მ. ავსაჯანიშვილი (თბილისი), დ. ნავროზაშვილი (კასპი), ი. ლურსმანაშვილი (ხაშური), მ. ყურაშვილი, მ. ცქვარიანი, თ. მანდარია, მ. შქუბულიანი, მ. ყურაშვილი, ვ. თუთისანი (ცაგერი), ზ. ქობულაძე (ბოლნისი), ვ. მესხი, ნ. ბერაძე, ა. ბერაძე (თბილისი), ს. მითაიშვილი (ბათუმი) და სხვანი.

მატჩები, გოლები, ავტორები

23 აგვისტოს ტურში შედგა 5 მატჩი, ვინაიდან მინსკის „დინამოსა“ და „ნევთჩის“ შეხვედრა გადატანილია 18 სექტემბრისთვის.

„ზენიტი“ — „დინამო“ (კიევი) 0:0. თამაში ალსავსე იყო ორმხრივი იერიშებით, დაძაბული მომენტებით. მიუხედავად ამისა, ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო წარმატების მოპოვება.

„ქაირათი“—ასკ 1:1. ტაიმი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ალმაათელთა კაპიტანმა როჟკოვმა ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში. არმიელებმა ძლიერად ჩაატარეს თამაშის მეორე ნახევარი და ანგარიშიც გაქვითეს (ჩურკინი).

„სპარტაკი“ — „არარატი“ 1:1. მაყურებლებმა ორივე გუნდის მხრივ იხილეს ტემპიანი, აქტიური, ლამაზი ფეხბურთი. „არარატი“ წლევანდელ ჩემპიონატში უკანასკნელად გამოდიოდა მოსკოვში, სადაც დედაქალაქის ოთხ გუნდთან შეხვედრებში 7 ქულა აიღო 8-დან!

ორივე გოლი სამ წუთში იქნა გატანილი: 64-ე წუთზე სპარტაკელმა პისკარიოვმა კარგად გამოიყენა მოპირდაპირე მცველის შეცდომა, მერე კი კაზარიანმა თავური დარტყმით გაქვითა ეს გოლი.

„კარპატი“ — „ზარია“ 0:0.

გათამაშების საუკეთესო ბომბარდირია ერევნელი ე. მარქაროვი — 9 ბურთი. 8-8 გოლი აქვთ გატანილი ა. ბანიშევსკის („ნევთჩი“) და მინსკელ ე. მალოფეევს.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კიევი)	23	14	8	1	32—11	36
„დინამო“ (მოსკოვი)	22	8	10	4	28—13	26
„არარატი“ (ერევანი)	20	9	8	3	25—15	26
ცსკა	24	7	9	8	27—22	23
„კარპატი“ (ლვოვი)	23	5	12	6	27—31	22
„ზარია“ (ვოროშილოვგრადი)	19	7	7	5	20—13	21
„ქაირათი“ (ალმა-ათა)	22	6	9	7	26—30	21
„დინამო“ (თბილისი)	20	8	5	7	20—29	21
„ნევთჩი“ (ბაქო)	19	6	7	6	24—21	19
„ტორპედო“ (მოსკოვი)	18	3	12	3	12—10	18
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	20	4	10	6	21—23	18
„შახტიორი“ (დონეცკი)	21	7	3	11	23—26	17
„დინამო“ (მინსკი)	20	4	9	7	21—27	17
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	21	5	7	9	18—25	17
„ფახთაქორი“ (ტაშკენტი)	21	3	10	8	17—35	16
ასკ (დონის როსტოვი)	19	4	6	9	19—29	14

„ტყავის ბურთის“ პრიზებისთვის

ჩელიაბინსკი

აქ ასპარეზობდნენ ეზოებისა და ქუჩების გუნდების საკავშირო ფინალური გათამაშების უმცროსი ასაკის მონაწილენი — 11-12 წლის ბიჭუნები.

23 აგვისტოს დამთავრდა დაძაბული ბრძოლები. I ადგილისთვის გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ჩრდილოეთ ოსეთისა და სომხეთის წარმომადგენლები. გამარჯვებულის გამოვლენას დასჭირდა დამატებითი დრო, ვინაიდან ძირითადმა დრომ უპირატესობა ვერც ერთ გუნდს ვერ მიაკუთვნა (1:1), ამასთან, ჩრდილოეთ ოსეთის „რუბინი“ აგებდა მატჩს და მხოლოდ ბოლო წუთზე შეძლო ანგარიშის გათანაბრება.

ორჯონიკიძის „რუბინმა“ დიდი აღმავლობით ითამაშა დამატებით დროში და გამარჯვებასაც მიაღწია—3:2.

III ადგილზე გავიდა როვნოს „ზარია“, ხოლო IV — თბილისის „ფიროსმანი“.

დონეცკი

13-14 წლის ბიჭების ტურნირის გადამწყვეტ მატჩში აქ გუშინ ერთმანეთს შეხვდნენ მასპინძელთა გუნდი — დონეცკის „მეტალისტი“ და ქუთაისის „კოლხეთი“.

გაიმარჯვეს დონეცკელებმა — 3:1. ბურთები გაიტანეს: ბაბუნიძემ, ტრიშინმა, კაპლუნოვმა და იუდინმა.

ტურნირის საუკეთესო თავდამსხმელად აღიარეს ქუთაისელთა კაპიტანი გ. ბაბუნიძე.

უკეთესი ბალანსის წყალობით

კიევში დამთავრდა „დინამოს“ რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატი, რომელშიც წარმატებით ითამაშეს თბილისელებმა. კიეველებთან ერთად ისინი ასპარეზობის ბოლო დღემდე წაუგებლად მივიდნენ: კიეველებმა დაამარცხეს მოსკოველები (25:8), ერევნელები (86:3) და ბაქოელები (37:0), ხოლო თბილისელებმა — ერევნელები (6:0), ბაქოელები (47:0) და მოსკოველები (11:0).

I ადგილის ბედი, ცხადია, კიევისა და თბილისის დინამოელთა შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა. ბრძოლა მძაფრი და საინტერესო გამოდგა. პირველი ტაიმი მასპინძლებმა მოიგეს — 8:3. შესვენების შემდეგ კიზირიამ ანგარიში გაათანაბრა — 8:8. მატჩის ბოლომდე გუნდებმა საჯარიმოები „გაცვალეს“ და შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 11:11.

ნათამაშრო ქულების უკეთესი ბალანსის წყალობით „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის სახელი კიეველებმა მოიხვეჭეს. თბილისელები II ადგილზე დარჩნენ.

მასპინძლობენ ჩემპიონები

საინტერესო საფეხბურთო ტურნირი ჩატარდება თბილისში 4-12 სექტემბერს: ყრუ-მუნჯთა საკავშირო გათამაშების ფინალი. მინდორზე გამოვლენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც.

... 1937 წლიდან არსებობს თბილისის ყრუ-მუნჯთა კულტურის სახლთან ფეხბურთის სექცია. აქაური გუნდი სისტემატურად მონაწილეობს სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებებში, რამდენიმეჯერ იყო საკავშირო გათამაშებათა პრიზიორი.

1958 წლიდან თბილისის ყრუ-მუნჯთა გუნდს სათავეში ჩაუდგა რ. მამაჯანოვი. მას შემდეგ ჩვენმა ფეხბურთელებმა კვლავ რამდენიმე დიდი წარმატება იზეიმეს, ხოლო 1969 და 1970 წლებში ზედიზედ მოიპოვეს სსრ კავშირის ჩემპიონთა წოდება.

და აი, ჩემპიონები თავიანთ მშობლიურ ქალაქში მასპინძლობენ ახალ საკავშირო გათამაშებას. ვფიქრობთ, ფეხბურთის მოყვარულთათვის ინტერესმოკლებული არ იქნება გაეცნონ ამ ტურნირის კალენდარს:

4. ბელორუსია — უკრაინა, რსფსრ — აზერბაიჯანი, საქართველო — სომხეთი.

6. საქართველო — ბელორუსია, უკრაინა — აზერბაიჯანი, სომხეთი — რსფსრ.

8. რსფსრ — ბელორუსია, საქართველო — უკრაინა, აზერბაიჯანი — სომხეთი.

10. ბელორუსია — აზერბაიჯანი, საქართველო — რსფსრ, უკრაინა — სომხეთი.

12. სომხეთი — ბელორუსია, საქართველო — აზერბაიჯანი, რსფსრ — უკრაინა.

წარმატებას ვულოცავთ!

ვინც თვალს ადევნებს ჩვენს საჭადრაკო ცხოვრებას, არ შეიძლება არ იცნობდეს მოჭადრაკისა და ჟურნალისტის გივი გამრეკელის სახელს. იგი საქართველოსა და თბილისის პირველობების მრავალგზის მონაწილეა, ოსტატობის კანდიდატი გახლავთ.

გ. გამრეკელი კარგად იცნობს ჭადრაკსა და უცხოურ ფეხბურთს. ამიტომ საქმის ცოდნითაა გამსჭვალული მისი წიგნები „ჩემპიონები და პრეტენდენტები“, „არდადეგები არასოდეს დგება“ „გუნდები და ვარსკვლავები“, „ასი წლის ფეხბურთი“ და წერილები, რომლებიც ხშირად იბეჭდება „დროშაში“, „კომუნისტში“, „თბილისში“, „ლელოში“ და სხვ.

ყოველივე ეს ნიჭიერი ჟურნალისტის საქმიანობის ერთი მხარეა. გამრეკელი თბილისის უნივერსიტეტის ძველი ქვეყნების ისტორიის კათედრის თანამშრომელია. მისი მეცნიერული გამოკვლევები ხშირად ისტამბება სპეციალურ გამოცემებში. ამას წინათ გამრეკელმა დაიცვა დისერტაცია თემაზე — „სალუსტიუსი, როგორც ისტორიკოსი“, რაც ძველი რომის რესპუბლიკის დროინდელი მემატიანის მოღვაწეობას ეხება.

და აი, მოსკოვიდან, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესი საატესტაციო კომისიისგან მოვიდა ცნობა, რომ გ. გამრეკელს ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი დაუმტკიცდა.

სურათზე: გ. გამრეკელი.

დაუსწრებელი პაექრობა კლარკთან

ედინბურგი. შოტლანდიის დედაქალაქის „მედოუბენკის“ სტადიონის სარბენ ბილიკზე გასულ შაბათს 24 წლის ბელგიელმა მძლეოსანმა ე. პუტემანსმა სახელგანთქმული ავსტრალიელი სტაიერის რ. კლარკის მსოფლიო რეკორდს შეუტია 2-მილიან დისტანციაზე.

რონალდ კლარკი, როგორც ცნობილია, სარბიელს დაემშვიდობა, მაგრამ მან სიჩქარის ეტალონებად მსოფლიოს რამდენიმე რეკორდი დაგვიტოვა. ახლა სხვადასხვა ქვეყანაში მოასპარეზე მძლეოსნებს დაუსწრებელი პაექრობა გაუმართავთ ავსტრალიელთან. ერთ-ერთი მათგანი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ემილ პუტემანსი გახლავთ.

პუტემანსმა საუცხოოდ გაართვა თავი რთულ ამოცანას: 15 ათასი მაყურებლის თვალწინ მან 2 მილი 8 წუთსა და 17,8 წამში გაირბინა — 1,8 წამით გააუმჯობესა კლარკის მსოფლიო რეკორდი და 4,8 წამით — მ. ჟაზის (საფრანგეთი) ევროპული მიღწევა.

უკვე 40 მეტრის შემდეგ იგი სათავეში ჩაუდგა რბენას. პირველი წრე მან 61,2 წამში დაფარა, 1000 მ — 2 წუთსა და 32,6 წამში, 1500 მ — 3 წუთსა და 50 წამში, 2000 მ — 5 წუთსა და 9 წამში. სპეციალისტები აღნიშნავენ პუტემანსის სწრაფ ფინიშს — ბოლო წრე მან 59 წამში გაირბინა.

შეჯიბრების შემდეგ პუტემანსმა განაცხადა, რომ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა და სწორედ ამითაა განსაკუთრებით კმაყოფილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯილდოებული ფოტოსურათები

როგორც 22 აგვისტოს ნომერში ვიუწყებოდით, მხატვრული ფოტოგრაფიის V გამოფენაში — „ფიზკულტურა და სპორტი საბჭოთა კავშირში" — წარმატებას მიაღწიეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ა. საკოვმა („მოლოდიოჟ გრუზიი") და მ. ზარგარიანმა („ლელო"). მათ საკავშირო გამოფენის დიპლომები და სამახსოვრო მედლები დაიმსახურეს.

მ. ზარგარიანის დაჯილდოებული ფოტოსურათები ჩვენ იმავე ნომერში დავბეჭდეთ. ახლა კი გთავაზობთ ა. საკოვის ნამუშევრებს: მარცხნივ — „დაცვისთვის მზად არიან" (სსრ კავშირის ხელბურთელთა ნაკრების წევრები); მარჯვნივ — „ნანა სხვადასხვა ამპლუაში"; ქვევით — „პაუზა" (ი. მეტრეველი).

სად ითამაშებენ პეტროსიანი და ფიშერი?

მოსკოვი, 24 აგვისტო. მსოფლიო ჩემპიონი ბ. სპასკი და ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტი ბ. როდიონოვი (სსრ კავშირი) დღეს კანადაში გაემგზავრნენ ვანკუვერში ფიდე-ს 42-ე კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

კონგრესზე ბევრ სხვა საკითხთან ერთად განხილული იქნება ტ. პეტროსიანისა და რ. ფიშერის ფინალური მატჩის გამართვის ადგილისა და დროის საკითხიც.

ცნობა გლადელიდან

გასულ კვირას ნ. ალექსანდრია თავს უქეიფოდ გრძნობდა და ამიტომ მ. ლაზარევიჩთან მისი ნახევარფინალური მატჩის V პარტია არ შედგა. მეტოქენი ვერც ორშაბათს მიუსხდნენ საჭადრაკო მაგიდას, ამჯერად იუგოსლაველი ოსტატის ავადმყოფობის გამო.

რეგლამენტით სამშაბათი გადადებული პარტიის დამთავრების დღე იყო, ამიტომ მატჩის V პარტია გათამაშდება დღეს — ოთხშაბათს.

პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები

ალექსანდრია — ლაზარევიჩი 2,5:1,5

მატჩის III პარტიაში ალექსანდრიამ შავებით კვლავ ალიოხინის დაცვას მიმართა, მაგრამ ამჯერად სხვა ვარიანტი აირჩია. მალე მან პერსპექტიული პოზიცია მიიღო.

მე-17 სვლაზე მხედარში კუს გაცვლის მაგიერ ლაზარევიჩს მეფის ფრთის პაიკი რომ ეთამაშა, მწვავე ბრძოლა გაჩაღდებოდა, გაცვლის შემდეგ კი იუგოსლაველი მოჭადრაკე წასაგებ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

მაგრამ აი, 22-ე სვლაზე ნანამ სერიოზული შეცდომა დაუშვა, რასაც ლაზარევიჩმა პატარა გაცვლითი კომბინაციით უპასუხა. ცაიტნოტში (37-ე სვლა) იუგოსლაველს შეეძლო მუდმივი ქიშით პარტიის გაყაიმება, მაგრამ გვერდი აუარა ამ გზას. უპირატესობა ისევ ალექსანდრიამ მიიღო.

ლაზარევიჩი — ალექსანდრია

ალიოხინის დაცვა

1. e4 მf6 2. e5 მd5 3. d4 d6 4. c4 მb6 5. f4 de 6. fe კf5 7. მc3 e6 8. კe3 კb4 9. ლb3 a5 10. a3 a4 11. ლd1 (ცუდია 11. ლ:b4 მc6 12. ლc5 ეa5 13. მb5 მd7 14. მ:c7+ ლ:c7 15. ლd6 ლb6 ბევრი მუქარით) 11. ...კe7 12. მf3 0—0 13. კe2 f6 14. 0—0 მc6 15. d5 მ:e5 16. მ:e5 fe 17. კ:b6 cb 18. მ:a4 b5 19. cb ed 20. b4 კg5 21. ლb3 მფh8 22. მფh1 ეc8? 23. ე:f5! ე:f5 24. კg4 ლf8 25. კ:f5 ლ:f5 26. ლ:d5 ეd8 27. ლf3 ლc2 28. ეf1 h6 29. მc5 ლc4! 30. h3 b6 31. მe4 კf4 32. ეe1 ლ:b5 33. g3 ეd3 34. ლg4 კe3 35. ლc8+ მფh7 36. ლf5+ მფh8 37. ლg6 ლd7 38. მფg2 ე:a3 39. ეe2 კd4 40. ეc2 ეa1 41. მd6 ეg1+ 42. მფf3 (თუ 42. მფh2 ეh1+!) 42. ...ეf1+ 43. მფe4 ეf8 44. h4 b5 45. h5 კb6 46. ეc1 კa7 47. მf5 ე:f5! 48. ლ:f5 ლd4+ 49. მფf3 ლe3+ 50. მფg2 ლd2+ 51. მფh3 ლ:c1 52. ლf8+ მფh7 53. ლf5+ მფg8 54. ლe6+ მფf8 55. ლd6+ მფe8 56. ლ:e5+ მფd8 57. ლd6+ მფc8 58. ლa6+ მფb8 59. ლ:b5+ მფc7 60. ლe5+ მფc8 61. ლ:g7...

მეტოქენი განაგრძობდნენ მანევრულ თამაშს. 90-ე სვლის მერე ასეთი პოზიცია შეიქმნა:

თეთრები: მფg2, პპ. b5, g4, h5;

შავები: მფg5, კc7, პ. h6.

ალექსანდრიას იგი მოგებული აქვს. საჭიროა მეტოქის მეფის საპატო ქსელში გახვევა, რათა თეთრებმა (b პაიკს რომ დათმობენ), იძულებული შეიქმნენ g4-g5 ითამაშონ. ეს იმიტომ, რომ კუ და h პაიკი ვერ იგებენ, ვინაიდან თეთრი მეფის განდევნა h1 უჯრიდან შეუძლებელია. ამიტომ შავმა პაიკმა g ვერტიკალზე უნდა გადმოინაცვლოს.

ამ პოზიციაში ნანამ 91. ...მფf6 ითამაშა, რასაც ყაიმი მოჰყვა. გურგენიძის აზრით, იგებდა 91. ... მფf4. ახლა არ გადის 92. g5 hg 93. h6 მფf5 94. h7 კe5 95. b6 მფg6 96. b7 მფ:h7 მოგებით.

ალექსანდრიამ IV პარტია უხეში შეცდომის გამო წააგო. მან იჩქარა (22-ე სვლა) ცენტრალური პაიკის აყვანა. შემდგომი ბრძოლა უნაყოფო გამოდგა, ვინაიდან ლაზარევიჩმა შეძლო მოგებული პაიკის შენარჩუნება და მისი ამოძრავება.

სადებიუტო უპირატესობას ალექსანდრია დაეუფლა. იგი მხედრით შეიჭრა შავების განლაგებაში და მეტოქის ფიგურები შებოჭა. საჭირო იყო პოზიციური მარწუხების შემდგომი მოჭერა, მაგრამ გაანგარიშებაში ალექსანდრიას რაღაც გამორჩა...

ალექსანდრია — ლაზარევიჩი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 d6 3. კb5+ კd7 4. კ:d7+ ლ:d7 5. 0—0 მc6 6. c3 მf6 7. d4 cd 8. cd d5 9. e5 მe4 10. მe1 f6 11. f3 მg5 12. კ:g5 fg 13. f4 gf 14. მd3 e6 15. მ:f4 0—0—0 16. მc3 კe7 17. ლd3 კg5 18. მb5 ეdf8 19. მd6+ მფb8 20. ლg3 კd8 21. ლh3 კb6 22. ლ:e6 კd4+ 23. მფh1 ლ:e6 24. მ:e6 ე:f1+ 25. ე:f1 კ:e5 26. მf7 ეe8 27. მ:e5 ე:e6 28. მd7+ მფc7 29. მf8 ეe2 30. h4 d4 31. ეf7+ მფd6 32. ეd7+ მფc5 33. მფh2 ეe7 34. ე:e7 მ:e7 35. მფg3 მფd5 36. მ:h7 მf5+ 37. მფg4 d3 38. მფf3 მფd4 39. h5 მg3. თეთრები დანებდნენ.

„1000 ტბა"

ჰელსინკი, 23 აგვისტო. „1000 ტბა" — ასეთი რომანტიკული სახელი ჰქვია ევროპაში პოპულარულ ავტორალის, რომელსაც ქალაქ იუვიასკიულიას მახლობლად მდებარე ტბების რაიონში ყოველწლიურად ატარებს ფინეთის ავტოკლუბი. ამ უაღრესად ძნელ შეჯიბრებაში (ორი დღე-ღამის განმავლობაში მრბოლელებს 1328 კმ უნდა გაევლოთ და 38 ჩქაროსნული უბანი გადაელახათ) ამჯერად საკმაოდ ხეირიანად იასპარეზეს საბჭოთა და ფინელმა სპორტსმენებმა „მოსკვიჩებით".

„ავტოექსპორტის" აღჭურვილმა გუნდმა, რომელიც 5 მანქანით გამოდიოდა, ეროვნული ნაკრები კოლექტივების ჩათვლაში II ადგილი დაიკავა — მხოლოდ ტრასის მასპინძლებს ჩამორჩა. უკან დარჩნენ შვეციის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდები.

რვავე „მოსკვიჩმა" წარმატებით დაამთავრა რბოლა და ეს მაშინ, როცა 125 ავტომობილიდან ფინიშს მხოლოდ 75-მა მიაღწია.

პირად ჩათვლაში ყველას აჯობა შვედების ს. ბლუმკვისტისა და ა. ჰერტცის ეკიპაჟმა, რომელიც „სააბით" ასპარეზობდა.

„მოსკვიჩებით" მოასპარეზეთა შორის საუკეთესო შედეგს მიაღწია კ. გირდაუსკასისა და გ. ეგოროვის ეკიპაჟმა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ჩვენი
ტელეფონები

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008), **დეპეშებისთვის** — თბილისი, „ლელო". **ტელეფონები:** რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

უე 04807